



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ექსორია

ექსორია [ლათ. ex- -გან, -იდან და ბერძნ. horos - საზღვარი (მოდვ.)], სახელმწიფოდან განდევნა, გადახვეწა (უმთავრესად პოლიტიკური მიზნების გამო). ფეოდალ. საქართველოში ტერმინი „ექსორია“ იხმარებოდა გაძევების აღსანიშნავად. ასეთ სასჯელს ადებდნენ „მინდობით გამოყვანილ“, ანუ მშვიდობიანი მოლაპარაკებით დამორჩილებულ შეთქმულებს, „ვისაც განდგომაში მცირედი მონაწილეობა ჰქონდა მიღებული, აგრეთვე განდგომისა და ლალატის მეორეგზისი განზრახვისა და დაპირებისათვის“ (ივ. ჯავახიშვილი). გაძევებულს „ექსორიაქმნილი“ ეწოდებოდა.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 2, თბ., 1984 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 7).

ი. ფუტკარაძე
